



შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოცემის 1937 წლიდან
დალოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№3 (9.812)

3 - 10 თებერვალი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

პერის ინიციატივა - „ერთი დღე სოფელში“ ბრძედება



მმ.3



მმ.4

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო ღღე



„მაშინ პირველად
შევესე „იმპერატორის
თასს“ და გავიფიქრე
- ერთხელ მაინც ვერ
უნდა აღვმართო-
მმ.8 მეთქი?“

განქორწინების შემდგომი ქონებრივი დავის შესახებ კანონი გადახედვას საჭიროებს



მმ.5



მმ.2

ცოფის შემთხვევა დელოფლისწყაროში



მმ.2

წითელას ვირუსი, ჯერ- ჯერობით, აჭარაშია...

შს მინისტრი - თანამედროვე ტექნოლოგიები ვითარდება და შესაბამისად, ქურდული სამყაროს ვითარდება, ამიტომ

მმ.3

კანონმდებლობას უნდა განვითარდეს

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2018 წლისთვის გაზეთ
„შირაქის“ პერიოდულობა
კვლავ ყოველკვირეული იქ-
ნება, რვაგვერდიანი და ფე-
რადი. გამოწერის ღირებუ-
ლება მთელი წლით 15 ლარი
ელირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

გამოიწერეთ
გაზეთი „შირაქი“ -
შეიტყუეთ ყველაფერი
დალოფლისწყაროში
მიმდინარე მოვლენების
შესახებ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივა - „ერთი დღე სოფელში“ ბრძელდება

„ერთი დღე სოფელში“- დედოფლისწყაროს მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის მიერ ინიცირებული პროექტის ფარგლებში შეხვედრები 31 იანვარს სოფელ ზემო ქედში გაიმართა. მერმა საკრებულოს თავმჯდომარესთან, ნუგზარ პაპიაშვილთან და მერის მოადგილე მალხაზ მერაბიშვილთან ერთად 2017 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა, მათ შორის, ახლად გარემონტებული ადმინისტრაციული შენობა, სპორტულ დარბაზში

დამონტაჟებული გათბობის სისტემა და „ქალთა ოთახი“. ნიკოლოზ ჯანიაშვილი, ნუგზარ პაპიაშვილი და მალხაზ მერაბიშვილი ზემო ქედის საბავშვო ბაგა-ბაღებსაც ესტუმტნენ. ისინი ასევე სოფელში არსებული პრობლემებით დაინტერესდნენ და სოფლის მაცხოვრებლებს პირადად გაესაუბრნენ. ადგილობრივი ხელისუფლების პირველმა პირებმა მოსახლეობასთან სამომავლოდ განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრეს.



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი საკრებულოს თავმჯდომარესთან, ნუგზარ პაპიაშვილთან და მერის მოადგილესთან, მალხაზ მერაბიშვილთან ერთად ამჯერად სოფელ არხილოსკალოს ეწვია. 1 თებერვალს მათ სოფლის ახლად რეაბილიტირებული სტადიონი დაათვალიერეს. პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები არხილოსკალოს საბავშვო ბაგა-ბაღს ესტუმრნენ და სოფლის მო-

სახლეობას შეხვედნენ. შეხვედრებზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, ნუგზარ პაპიაშვილმა და მალხაზ მერაბიშვილმა არსებულ პრობლემებზე, მათი მოგვარების გზებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა მოსახლეობას საბავშვო ბაღის პროექტიც გააცნო და აღნიშნა, რომ სოფლის სააღმშრდელო დაწესებულება წელს ახალ შენობაში გადასვლას შეძლებს, რომელსაც იზოლირებული და კეთილმოწყობილი ეზო ექნება.

გიორგი კვიციანიშვილი - ვფიქრობ, დროა, საქართველოში შავი „ჯიპების“ ეპოქა დავასრულოთ

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მიმართა, რომ დროა, საქართველოში შავი „ჯიპების“ ეპოქა დასრულდეს. როგორც პრემიერი აცხადებს, საუბარი იქნება ავტოპარკის შეცვლაზე.

„მინდა მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მივმართო, რომ, ვფიქრობ, დროა, შავი „ჯიპების“ ეპოქა დავასრულოთ საქართველოში, რადგან ყველას აღიზიანებს, მათ შორის, არ დაგიმალავთ და მეც. ეს არის დამკვიდრებული პრაქტიკა და ვფიქრობ, რომ საუბარი იქნება ავტოპარკის შეცვლაზე.“

ჩვენ შავ ფერზე უარი უნდა ვთქვათ, რადგან ვფიქრობ, დროა, გადავიდეთ, პირველ რიგში, ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტზე და ჩავანაცვლოთ, პირველ რიგში, მინისტრების დონეზე, მაგრამ არა მხოლოდ მთავრობის, მთლიანად ხელისუფლების წარმომადგენლებს ეხებათ ეს, მათ შორის, ძალიან უწყებებსაც. არავის დაუწერია წესი, რომ მაინცდამაინც შავი „ჯიპით“ უნდა იაროს თუნდაც სამართალდამცავმა, ამიტომ ეს დაინწყება მინისტრებიდან, მაგრამ თანდათან გავრცელდება ყველგან. ამას ერთბაშად ვერ გავაკეთებთ, რა თქმა უნდა, ამას დიდი ფინანსური რესურსი დასჭირდება, მაგრამ მინისტრებმა დავინწყოთ და შემდეგ სხვებიც მოგვბაძავენ.

დაცვის ხელმძღვანელთან მქონდა საუბარი, დელეგაციების დახვედრისას, თუ ამას ეტიკეტი მოითხოვს, გამონაკლისის დაშვება შეიძლება, სხვა არც ერთი შემთხვევა ჩემთვის არ იქნება მისაღები.

მგონია, რომ ეს შავი მანქანების ეპოქა უნდა დავასრულოთ. საერთაშორისო ორგანიზაციები თეთრი მანქანებით მოძრაობენ, არ მგონია, რომ უსაფრთხოების კუთხით რაიმე კომპრომისს უკავშირდებოდეს სხვა ფერის მანქანით სარგებლობა. ჩვენ თანდათან უარი უნდა ვთქვათ შავი, დაბურული, „ჯიპებით“ სარგებლობაზე“, - განაცხადა გიორგი კვიციანიშვილმა.

მიხეილ ჯანელიძე - ვიზალიბერალიზაციას, დღესდღეობით, საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ მინდა, მოვუწოდო ჩვენს მოქალაქეებს, გაუფრთხილდნენ ამ დიდ შესაძლებლობას

საგარეო საქმეთა მინისტრი, ვიცე-პრემიერი მიხეილ ჯანელიძე აცხადებს, რომ საქართველოს ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციას საფრთხე, დღესდღეობით, არ ემუქრება, თუმცა, საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდებს, ამ შესაძლებლობას გაუფრთხილდნენ.

„საქართველოს მოქალაქეებს ვიზალიბერალიზაციით სარგებლობის კუთხით დღეს არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ, მაგრამ მინდა, კიდევ ერთხელ მოვუწოდო ჩვენს მოქალაქეებს, რომ გაუფრთხილდნენ იმ დიდ შესაძლებლობას, რომელიც ვიზალიბერალიზაციით მოგვენიჭა. ამით ისარგებლა საქართველოს ძალიან ბევრმა მოქალაქემ. კიდევ ერთხელ შევასხენებ ყველას, რომ ეს არის 90-დღიანი ვიზიტისთვის განსაზღვრული უვიზო მიმოსვლა. შესაბამისად, აუცილებელია, რომ ყველამ დაიცვას ეს პირობა, რათა გაგრძელდეს შეუფერხებლად და არ წარმოიშვას რაიმე კითხვები საქართველოსთან მიმართებაში ვიზალიბერალიზაციის მოქმედებასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე არ არსებობს არანაირი საფუძველი იმისა, რომ ეს პირობები გადაიხედოს“, - განაცხადა ჯანელიძემ.

შეგახსენებთ, რომ თავშესაფრის მინიჭების ევროპული სააგენტოს (EASO) მიერ გავრცელებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2016 წელთან შედარებით ევროკავშირის წევრ ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელი საქართველოს მოქალაქეების რიცხვი 35%-ით გაიზარდა.

შს მინისტრი - თანამედროვე ტექნოლოგიები ვითარდება და შესაბამისად, ქურდული სამყაროც ვითარდება, ამიტომ კანონმდებლობაც უნდა განვითარდეს

თანამედროვე ტექნოლოგიები ვითარდება და შესაბამისად, ქურდული სამყაროც ვითარდება, ამიტომ კანონმდებლობაც უნდა განვითარდეს, - ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, შს მინისტრმა გიორგი გახარია ქურდული სამყაროს წინააღმდეგ დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილების კომენტარებისას განაცხადა.

გახარიას თქმით, კანონპროექტი დღეს მთავრობას წარედგინება, ხოლო უახლოეს მომავალში პარლამენტს.

„დღეს მთავრობის სხდომაზე ჩვენ წარვადგინეთ ამ საკანონმდებლო ცვლილებებს, რადგან გვინდა, რაც შეიძლება მალე მივმართოთ პარლამენტს. რაც შეეხება თავად საკითხს, მოგეხსენებათ, დღეს ქვეყანაში სამართლოს სტანდარტმა ძალიან აიწია, შესაბამისად, ქურდულ სამყაროსთან მიმართებაში საკანონმდებლო ჩარჩო არის შესაცვლელი. ამასთან, თანამედროვე ტექნოლოგიები ვითარდება და შესაბამისად, ქურდული სამყაროც ვითარდება, ამიტომ კანონმდებლობაც უნდა განვითარდეს. ის ცვლილებები, რომელიც იქნება წარდგენილი ჩვენი ინიციატივით, ჯერ მთავრობის და შემდეგ პარლამენტის წინაშე, ითვალისწინებს საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას, ზოგიერთი ევროპული ქვეყნის გამოცდილებას და იქნება ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული ამ მიმართულებით“, - განაცხადა გახარია.



განქორწინების შემდგომი ქონებრივი ღირებულების შესახებ კანონი გადახედვას საჭიროებს

რამდენიმე დღის წინ, საქართველოს იურისტთა ასოციაციამ, პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის სახელზე წერილი გააგზავნა, სადაც საია ქორწინების და განქორწინების შესახებ კანონის გადახედვას მოითხოვდა. საკითხი შეეხება განქორწინების შემდგომ ქონებრივ დავას, რომელიც ყოფილ მეუღლეებს შორის მიმდინარეობს, საიდანაც დაზარალებული ხშირ შემთხვევაში ისევ ქალია, რადგან ქონების უმეტესი ნაწილი მამაკაცზეა გაფორმებული. რა უფლებები აქვთ მეუღლეებს ქორწინებაში ყოფნის დროს შექმნილ ქონებაზე და ირღვევა თუ არა ქალთა უფლებები არსებული კანონმდებლობით, საია პარლამენტს ახალი წინადადებით მიმართავს. ის ითხოვს, კანონში შევიდეს ცვლილებები წყლის დაქორწინების დროს ქონებრივი ხელშეკრულების სავალდებულო გაფორმებასთან დაკავშირებით. ქონებრივი დავა ცოლ-ქმარს შორის, შესაძლოა, ბევრისთვის მიუღებელი და წარმოუდგენელიც არის. ქორწინებისას ვერავის წარმოუდგენია, რომ

შესაძლოა, მომავალში მსგავს საკითხზე დავა მოუწიოს თავის მეორე ნახევართან, თანაც სასამართლოში, თუმცა, სინამდვილეში ჩვენს ქვეყანაში ბევრი მსგავსი ფაქტი ხდება და ხშირად მსგავს სიტუაციებში ქალები ზარალდებიან. ჩვენს ირგვლივ უამრავი ქალბატონია, ვინც სწორედ მსგავსი სიტუაციების წინაშე დამდგარა უსასსროდ დარჩენილი ქალი იძულებულია, კვლავ მშობლების სახლში დაბინავდეს, ან ღია ცის ქვეშ დარჩეს. ამიტომაც, უპრიანი იქნებოდა, თუ ქორწინებას სავალდებულო კონტრაქტის მოწყობა, რადგან, ვფიქრობთ, მაღალი დონის მიდგომები და კანონისმიერი მყარი საფუძველი ქორწინების დამაჯერებლობას და სიმყარესაც შეუწყობდა ხელს. ამით გარკვეულწილად შესაძლოა ასე გახშირებული და ხელაღებულ იქნას დაზარალებულთა და მისი სიმცირეც მიგველო შედეგად. ცნობილი ადვოკატი, ღიმილ-ტრი ბაბუნია, რომელიც წლებია, ოჯახური განქორწინების და შედეგად ქონებრივი დავის

საკითხებზე მუშაობს, ჩვენდა გასაკვირ კომენტარს აკეთებს „შირაქთან“ და გამოიტყობს კანონის გადახედვას: „განქორწინების შემთხვევაში, ერთობლივი თანაცხოვრების დროს შექმნილი ქონება იყოფა მეუღლეებს შორის თანაბრად, მიუხედავად იმისა, თუ ვინ შექმნა ქონება. ამისთვის უცილებელი პირობაა, რომ მეუღლეებს შორის არსებობდეს რეგისტრირებული ქორწინება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში (საჯარო რეესტრში). მოცემულ ურთიერთობებს არეგულირებს სამოქალაქო კოდექსი და ის ამ ეტაპზე შესწორებას არ საჭიროებს.“

მიუხედავად ადვოკატის ასეთი მოსაზრებისა, ვეთანხმებით საიას მოსაზრებას, რადგან ფაქტები, რომლებიც ხშირად ჩვენს ირგვლივ ხდება, გაცილებით მძიმე მოსასმენია:

შემთხვევა №1: ქორწინებაში მყოფი ქალი ოჯახური პირობების გაუმჯობესების მიზნით ამერიკაში წავიდა, მან იქ ოთხი წელი დაჰყო, იქიდან გამოგზავნა თანხა, მეუღლეს სთხოვა, ამ თანხით მათი საერთო ბინა შეეძინა თბილისში, ცხადია, ნდობაც მაღალი იყო და ეჭვგარეშე მოხდა ის, რომ წავიდა ბინა მამაკაცის სახელზე გაფორმდა, მეუღლის სახელზევე გაფორმდა საზღარგარეთიდან გამოგზავნილი ფულით შექმნილი მიკროავტობუსი. უკანდაბრუნებულ ქალს კი ბინა მის უკითხავად დახვდა ბანკში ჩადებული. მწარე რეალობაა, როდესაც თვალი უნდა გაუსწორო იმას, რომ ოთხი წლის შენი ნერვების, შრომის და უთვალავი უძილო ღამის საფასურად შექმნილი შენი ბინაც არ გხვდება, უფრო მეტიც, სხვის მიერ გაყიდული და გაფლანგული გხვდება.



შემთხვევა №2: ქორწინებაში მყოფი მეუღლეებიდან ქალს მშობლებმა შეუძინეს ბინა, ფაქტიურად, ქორწინებაში ყოფნისას ნაჩუქარი ფულით ბინა იყიდეს, ბინა ქალის სახელზე გაფორმდა. განქორწინების შემთხვევაში ქმარმა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, ბინა ქალის მშობლების მიერ იყო ნაყიდი, მოითხოვა ნილი, რომ ამ ბინის ერთი ნაწილი მე მეკუთვინის და ის შუაზე გაიყოფაო, თუმცა საქორწინო კონტრაქტი რომ ყოფილიყო, ასე არ მოხდებოდა.

შემთხვევა №3 :განქორწინების შემდეგ ქალბატონი მშობლების სახლში წამოვიდა ორი შვილით, თუმცა, მან ვერც მეუღლის ალიმენტი მოიპოვა და ვერც მისი ბინიდან რაიმე წილი, რადგან ბინა მშობლების სახელზე იყო გაფორმებული. ქალი კვლავ პრობლემების წინაშე დადგა.

პრობლემას ქმნის ის, რომ ერთობლივად შექმნილი ქონება, როგორც წესი, მხოლოდ მამაკაცზე ფორმდება, როგორც ოჯახის თავზე და ქალი ხშირად ყველანაირად განადგურებული და ეკონომიურად არამდგრადი,

შეშლილი რჩება მძიმე პრობლემების წინაშე, რასაც შვილების მართვით გაზრდაც ემატება. იურისტები, რომლებიც ქონებრივი დავის საკითხებზე მუშაობენ, ამბობენ რომ ოჯახის ერთ წევრზე გაფორმებული ქონება შემდეგ პრობლემას ქმნის, ამიტომ აუცილებელია საქორწინო კონტრაქტი კი საქართველოში სულ 20 არსებულია. გასაკვირიც არაა, სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახები არ კადრდებიან, რომ აქამდე დაეშვან და კონტრაქტზე ისაუბრონ, თუმცა, ეს რომ აუცილებლობაა უფლებების დაცვის და გარანტიებისთვის, ესეც ცხადია. ცნობისთვის 2007 წელს 2 ათასი ადამიანი განქორწინდა. 2016 წელს ამ რაოდენობამ შეადგინა 9 ათასზე მეტი. ამ რიცხვიდან ნახევარზე მეტს ქონებრივი დავაზე მოუწია სასამართლოში დავა. გარდა ამისა, თუ ქალბატონმა მოითხოვა სასამართლოს სახით თავისი წილი, ეს ყველაფერი დროშიც ინელდება და ხარჯებთანაც არის დაკავშირებული.

ლალი მხრიშვილი



შემთხვევითობა თუ მოხუცის აბრეშის მიმე შედეგი

რამდენიმე დღის წინ 11 წლის ბიჭის დედამ მოგვმართა რედაქციაში. მისი შვილი მეზობელი 86 წლის ქალის აგრესიის მსხვერპლი გახდა. ბავშვს მეზობლის ქალმა თვალი დაუზიანა, რის გამოც ბავშვმა ერთი თვალისგან მხედველობის 95 % დაკარგა. ჩვენ შევისწავლეთ საკითხი, ვიყავით როგორც ბავშვის ოჯახში, ასევე ვესაუბრეთ

სკოლის პედაგოგებს ბავშვის მდგომარეობის შესახებ. ასევე ჩავინერეთ 86 წლის ქალბატონის სიძის კომენტარიც. თუმცა, მათ კომენტარებზე მეტად ჩვენ ბავშვის ბედი გვაღელვებს, ტრავმა, რომელიც მან მეზობლის ქალის მიერ აგრესიის გამო გამომტვრეული ფანჯრისგან მიიღო და მინა თვალში შეერჭო, საკმაოდ მძიმეა. ბავშვს ვიზუალურად

ეცოცხება თვალის დეფორმაცია და მხედველობაც აკლია. ამ ინფორმაციას მისი პედაგოგებიც ადასტურებენ. ოპერაცია, რომელიც საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა 11 წლის ბიჭუნასთვის, სახელმწიფო დაზღვევამ დააფინანსა, რადგან ოჯახი სოციალურად დაუცველია. გაზეთი „შირაქი“ გამოხს ბავშვის მიმართ ჩადენილ ამგვარ აგრესიას და

მოუწოდებს ყველა შესაბამის ორგანოს, გაეწიოს დახმარება სოციალურად დაუცველ ოჯახს, რათა ბავშვმა მიიღოს დროული მკურნალობა.

შესაძლოა, ბავშვი იყოს ცელქი და მეზობელ ბებიასაც აბრაზებდეს, ან უფრო მეტიც, გამოიყვანოს მდგომარეობიდან იგი, მაგრამ ეს არ ამართლებს მას არანაირად, რომ ბავშვი ასეთი დაზიანებისთვის უნდა გაიმეტოს.

აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობდა გამოძიება, რაც სასამართლო სხდომით დასრულდა- ბებია 500 ლარით დაჯარიმდა. ეს კი არ გახლავთ დამაკმაყოფილებელი ბავშვის ოჯახისთვის, რადგან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაცილებით მძიმეა.

კანონიც არასწორადაა მორგებული მსხვერპლებზე. დამნაშავემ რომ 500 ლარი გადაუხადა სახელმწიფოს თავისი ცუდი საქციელის გამო, ამით რა სარგებელი მიიღო მხედველობადაკარგულმა ბავშვმა, რომელსაც მამა ინსულტისგან ჰყავს, ოჯახი კი, სოციალურად დაუცველია

და ექიმებთან სასიარულო თანხაც იმით მოიძიეს, რომ პიანინო დაშალეს და ჯართის სახით ჩააბარეს, რათა ბავშვი ექიმთან წაეყვანათ.

ამჯერად დავას და ერთმანეთის ბრალდებებს აზრი აღარ აქვს, კარგია, რომ ფაქტი არ მომხდარიყო, თუმცა მოხდა. ახლა ერთადერთი, რისი სურვილიც გვაქვს, გვინდა, რომ ბავშვმა მიიღოს დროული მკურნალობა და ამისთვის შესაბამისი დაფინანსება, რათა აღიდგინოს თვალის ჩინი.

აღნიშნულ ფაქტზე დედოფლისწყაროს მერმა, ბატონმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, მაშინვე მოახდინა რეაგირება. მან შესაბამის უწყებებს დაავალა ბავშვის მდგომარეობის შესწავლა. ამჟამად სოციალური მუშაკები და თვითმმართველობის შესაბამისი სამსახური მუშაობს იმაზე, რომ ბავშვის ეკონომიურად დაეხმარნენ და ის ისეთივე ჯანსაღი დაუბრუნდეს ოჯახსა და სკოლას, როგორც ამ შემთხვევამდე იყო.

ლალი მხრიშვილი



ანგლოზის წირვა დგება, როცა დაჭკრავს ნინო ზარსა!

ნებისმიერ კუთხეში, სადაც მივიდვართ, უპირველესად მუზეუმს ვათვალიერებთ, რათა გავაცნოთ იმ ხალხის კულტურას, ტრადიციებს, ისტორიას. ცხადია, მუზეუმს დიდი როლი აკისრია ყველა კუთხეში, მათ შორის ჩვენშიც. ტურისტი თუ სტუმარი, პირველ რიგში მუზეუმს მიაშურებს-ხოლო, რომ გაგვიცნოს უკეთესად



და წარმოდგენა შეიქმნას, რა კულტურის მატარებელი ხალხი ვართ. ამიტომ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ გარემო პირობები, რა ხელშეწყობა დახვდება ტურისტს აქ. ის ერი, რომელიც ისტორიას დაივიწყებს, მას მომავალიც არ გააჩნია. მუზეუმის ინფრასტრუქტურა უნდა იყოს მოწესრიგებული. გამიხარდა, რომ დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მცირეოდენი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ცვლილებებია, თუმცა, თუ სხვა მუზეუმებს ახლოს გავეცნობით, მივხვდებით, რომ იქამდე ძალიან ბევრი გვაკლია და სურვილია, რომ ჩვენც მი-

ვალნიოთ იმ ნიშნულს. 27 იანვარს, ტრადიციულად, დიდებულად აღნიშნეს ნინოზა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. სტუმრების მისაღები დარბაზი, რომელიც აქამდე ესთეტიკურად შეუფერებლად გამოიყურებოდა, ამჯერად ლამაზ, ნათელ სივრცედ გარდასახულიყო. ამაში წვლილი მიუძღვის გამგობის და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელობას, რომლებმაც გამოიყვეს თანხა, რათა საკონფერენციო ოთახი კოსმეტიკურად გალამაზებულიყო... ცხადია, ისეთ ორგანიზაციას, როგორცაა მუზეუმი, რომელიც ქიზიყის ისტორიას ინახავს, არ შეუძევროდა შებღალული დარბაზი...

„-თექვსმეტი საუკუნე გვაშორებს იმ კურთხეულ დროს, როდესაც ღვთის დიდი განგებთა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ლოცვა-კურთხევით, ქრისტიანობის საქადაგებლად საქართველოში ჩამოვიდა წმინდა ნინო განმანათლებელი. ქართველთა განმანათლებელია და მოციქულის სწორის, წმინდა ნინოს ქადაგებით, საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად 326 წელს გამოცხადდა, როდესაც სამეფო ტახტი მეფე მირიანსა და დედოფალ ნანას ეპყრათ. ქართლში ახალი მოძღვრების გამოცდებისა და ქართველი ხალხის მონათვლის მთავარი გამირი შეიქმნა ახალგაზრდა ქალი სახელით - ნინო.“

„-წმინდა ნინო წარმოშობით, კაბადოკიიდან იყო. არსებობს საკმაოდ საფუძვლიან-

ნი მოსაზრებები და ცნობები, რომ იგი წმ. გიორგის ახლო ნათესავი გახლდათ. ისინი დაახლოებით ერთ პერიოდში მოღვაწეობდნენ. წმიდა გიორგი მე-4 საუკუნის დასაწყისში, ძალიან ახალგაზრდა ენაშია და წმიდა ნინოც დაახლოებით ამ პერიოდში დაიბადა, რადგანაც 316-318 წლებისთვის, იგი აღსაზრდელად სარა ნიაფორს მიბარდა. წმიდა ნინოს მამა ძალიან წარჩინებული სამხედრო მოღვაწე იყო, ხოლო დედა - სუსანა, ზაბულონის მეუღლე, იერუსალიმის მაშინდელი პატრიარქის, იუბენალის ღვიძლი და გახლდათ. წმიდა ნინო ასეთ წარჩინებულ გარემოში დაიბადა და აღიზარდა. იგი ბავშვობიდანვე გამორჩეული იყო. წმიდანი 12 წლის იყო, როდესაც მამამისი ზაბულონი მთლიანად თავს ანებებს ყველანაირ საერო მოღვაწეობას, ისტუმრებს ყოველგვარ სამოქალაქო ვალს და მიდის პალესტინის უდაბნოში, უამრავი სხვა მოღ-

ვანის მსგავსად, რათა უფალს მიუძღვნას, მთელი თავისი ერთგული მოღვაწეობა. დედა სუსანა იერუსალიმის ეკლესიის ერთ-ერთი დიაკონის დამხმარე ხდება და ზრუნავს ქვირთვ-ობლებზე, ეხმარება იერუსალიმის ეკლესიის საზოგადოებრივ-სოციალურ მსახურებათა ფუნქციონირებას. წმ. ნინოს ბიძა იუბენალი, აღსაზრდელად სარა ნიაფორს მიბარებს, რომელიც მას დიდი ყურადღებით ზრდის, 3 წლის განმავლობაში, 12-დან-15 წლამდე. წმ. ნინო მასთან იზრდება. მისგან ისმენს უამრავ მოთხრობას. ბუნებრივია, რაც ისედაც პირდაპირი გადაცემის გზით იქნებოდა შენარჩუნებული, იერუსალიმის ეკლესიაში. წარუშლელია წმინდა ნინოს კვალი იბერიელთა ქრისტიანობისკენ მოქცევის საქმეში, მან უამრავი სასწაული მოახდინა საქართველოში, ამდენად ქართველი ხალხი უდიდეს პატივს მიაგებს მის ხსოვნას.“-მოგვითხრობს მხა-

რეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი ნინო პოპიაშვილი. წმინდა ნინოზე ლეგენდების თემა გამოიტანა მუზეუმის მთავარმა სპეციალისტმა, დამსახურებულმა მუშაკმა, ქალბატონმა ლალი ბასილაშვილმა. წმინდა ნინოზე ხალხური ლექსი წაგვიკითხა მუზეუმის სპეციალისტმა ქალბატონმა თამარ ჯავახიშვილმა: „ანგლოზის წირვა დგება, როცა დაჭკრავს ნინო ზარსა, მცხეთის ქალაქს შირონი ღულს, ირვკლივ გააქვს ნიაჟ-ქარსა. გარს გუშპათსა, სვეტს ესვევა, როგორც ნორჩი ვაჟი სარსა, იმის მაღლი შეგეწიოთ, რაც იქ წირვა-ლოცვა დგასა“. შეხვედრის დასასრულს მუზეუმის თანამშრომლებმა საგანგებოდ მომზადებულ სუფრასთან მივკვიპატიყეს, დაინთო სანთლები წმინდა ნინოს ხატის წინ და შეისვა წმინდა ნინოს შესანდობარი.

ლალი მხსრიშვილი



სათნოების სახლს ახალი ბენეფიციარი ჰყავს



დედოფლისწყაროს სათნოების სახლს ახალი ბენეფიციარი ჰყავს. მისი სახელი და გვარი ალექსანდრა კურაევას, მეუღლის გვარით - არშინივა, მას ბევრი რამ აღარ ახსოვს, მაგრამ საკუთარი დაბადების თარიღი - 1942 წელი, კარგად ახსოვს. მისივე ინფორმაციით, ის კალმიჩიდან, ტუბენის ობლასტიდანაა. მეუღლე გარდაცვლია და შვილებიც. საკმაოდ მძიმე წარსული

აქვს, მესხიერების ასეთი წყვეტაც ამის შედეგია. თავად ბავშვთა სახლში გაზრდილა. დედა და მამა არ ახსოვს. მისი ტრავიკული ისტორიის გაგრძელებაა ის ფაქტიც, რომ არავინ იცის, როგორ აღმოჩნდა ის საქართველოში და კერძოდ, ჩვენს რაიონში...

ერთი რამ არ ეშლება და კარგად იცის, - დედოფლისწყაროს სათნოების სახლში კარგად უვლიან, ჰბანენ, თბილად ჰყავთ, კარგ საჭმელებს აჭმევენ და ღამე თბილი ლოგინი აქვს, თუმცა, ის არ იცის, ეს ყველაფერი რა ფასად უჯდება სათნოების სახლ „სავანეს“ მოსამსახურე პერსონალს. ადამიანები, რომლებიც აქ სხვა დაწინაურებით მუშაობენ, მოულოდნელად უპატრონო მოხუცის მომვლელებად იქცნენ. თანაც ეს ამბავი უკვე თვეები, კარგად უვლიან, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი მოხუცთა სადღეღამისო თავშესაფარი გვაქვს ან ასეთი მომსახურება გვევალებს. ეს გამოწვევისა და მართლაც უპირიანი იქნება, თუ ასეთი კაბინეტი იქნება რაიონში, სადაც მიუსაფარი ადამიანის არსებობის შემთხვევაში, მას ღამის გასათევად ექნება.“-ამბობს ჩვენთან საუბარში მარინა ტოკლიკიშვილი.

გამომდინარე, გავაკეთეთ. დამგობა, საკრებულო, მთლიანად თვითმმართველობა გვერდში მიდგას, რომ ამ ქალბატონს პირადობა ავაღებინოთ და თავშესაფარში გადავიყვანოთ, თუმცა, პროცესი დიდხანს გაგრძელდა, ჩემი თანამშრომლები ალექსანდრას არაფერს აკლებენ, ჰბანენ, უცვლიან საცვლებს, ლოგინს და თვითრეულს, ყიდლობენ პამპერსებს საკუთარი თანხებით და ყველას ერთად რაც შეგვიძლია ყველაფერს ვაკეთებთ, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი მოხუცთა სადღეღამისო თავშესაფარი გვაქვს ან ასეთი მომსახურება გვევალებს. ეს გამოწვევისა და მართლაც უპირიანი იქნება, თუ ასეთი კაბინეტი იქნება რაიონში, სადაც მიუსაფარი ადამიანის არსებობის შემთხვევაში, მას ღამის გასათევად ექნება.“-ამბობს ჩვენთან საუბარში მარინა ტოკლიკიშვილი.

რულებს. რამდენიმე ხნის წინ, ძალადობის მსხვერპლი დედა გახლდათ შეილებით, რომელსაც წასასვლელი არსად ჰქონდა, სახლში მოძალადე ქმართან წასვლა კი არ სურდა. ქალბატონი ცალკე გასვლას ითხოვდა, რაც გამგეობამ დააკმაყოფილა, მაგრამ სტატუსის მინიჭებამდე და ცალკე გაყვანამდე რამოდენიმე ღამე მას თავშესაფარის პოვნა გაუჭირდა. ჩვენს რაიონს კი არ აქვს სადღეღამისო თავშესაფარი და ღამის გასათევი ოთახი, რაზეც, მგონი დროულია, რომ ვიფიქროთ. კახეთში ასეთი უკვე რამდენიმე რაიონს აქვს, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ერთობლივი მუშაობით შეიქმნა. მაგალითებიდან გამომდინარე, აღნიშნულ კაბინეტს ჩვენც ვსაჭიროებთ. რომელსაც გინდაც სტატუსის მინიჭებამდე საჭირო ოთახი, გინდ მიუსაფართა ოთახი დავარქვათ.

ლალი მხსრიშვილი



1960 WLIS TEBERVALI

● MCXANIS KULTSAXLIS SCVAZE MO SAMRTLEEBM GANIXILES TANASOFLELIS, TELMAN MITSURAZIS SAQNE 5 IANVARS, RAMS 12 SAATZE IS ZEMO MCXANIS KOLMEURNEOBIS KANTORASI SEIPARA, GATEXA RKINIS SALARO, GAITACA 1080 MNETI FULI DA 232 525 MNETIS 2%-IANI OBLIGACIEBI. ROGORC MITSURAZEM GANACXADA, NAQURDALI SAQTMESI DAMLA, MERE KI WIRO DA ALAZNIS ARXSI CAYARA SASAMRTLOM S. BOSTORANASVILIS TAVMDOMREOBIT DAM NASAVES 10 WLIT PATIMROBA DA TANXIS ANAZRAURIBA DAARISRA.

SAXLEOBASI, VIDRE WMAT.

1975 WLIS TEBERVALI

● WTELWAROS SINAGAN SAQNETA GANYOFILEBIS UFROSIS E SULASVILISA DA SAPASPORTO MGDIDIS UFROSIS A ZURAS VILIS SAXELZE QALAQ TAMBOVIDAN MOVDIADLOBIS WERILI, ROMELSAC REDAQIA AQVEYNEBS. AVTORI NINA IUSKOVA MDLOBAS UXDIS MT, ROM OMS WINDROINDELI MGOBBREBIS ARMOCEVA-SEXVEDREBSI DAEXMAR NEN QALAQ STALINGRADSII CEM MGOBBREBI SAMMULO OMM DAMSORA, AXLA KI 30 WLIS SEMDEG TQVEN MPOVNINET. VER WAR MOIDGENT, RAMKELA SIXARULI IYO, ROCA TQVINGAN DADBITI PASUXI MVIRE MSAMRTIBIS CAMONATVALIT. CEM AXLOBLEBISGAN UKVE WERILEBIC MVIRE DAE, YOVELTVIS IYAVIT GULISXMEINI.

გ ა მ ო ს თ ო ს ო ვ ა რ ი

მ ა ი ა ბ ა ლ ა შ ვ ი ლ ი - ჯ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პედაგოგიურ კოლექტივს ახალგაზრდა მასწავლებელი გამოაკლდა. ხანგრძლივი, უკურნებელი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 50 წლის ასაკში, გარდაიცვალა ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი მ ა ი ა ბ ა ლ ა შ ვ ი ლ ი - ჯ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი.

დის კეთილშობილურ საქმეს. უყვარდა ბავშვები და თავისი სკოლა. ჰქონდა შესანიშნავი ოჯახი. მეუღლესთან, დავით ჯალაშვილთან ერთად ორი შვილი-გიორგი და ელენე გაუზარდა ქვეყანას. ახლა ორივე სტუდენტი და დედის თანადგომა და ხელშეწყობა მათ ძალიან სჭირდებათ, მაგრამ ბედისწერამ სხვანაირად იწვინა: მამამ ნაადრევად დატოვა ამქვეყნიური ცხოვრება და მარადისობას შეუერთდა. მისმა გარდაცვალებამ გული დასწყვიტა ყველას: - ოჯახს, ახლობლებს, პედაგოგიურ კოლექტივს, მონსწავლებებს და მათ მშობლებს და ყველას, ვინც მასთან შეხებულობაში ყო-



ფილა ოდესმე. ნათელში იყოს შენი სული, ჩვენო მამა, გემშვიდობებით წრფელი გულით, სინანულით და სიყვარულით. უფაღვალს ებარებოდე.


ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ავღინიჭრავნი.

ს ს ო ვ ა

ზ ა ზ ა კ ო ვ ი ა შ ვ ი ლ ი

შეუსრულებელ 39 წელს გილოცავ, ჩემო საყვარელო შვილო! მაგიდაზე, შენი სურათები წინ დანთებულ სანთლების ციმციმს და საკმეველის სურნელს შენთან ვატან მონატრებას, სიყვარულს, ამბორს და ცრემლიანი თვალებით გუგუნებ: გილოცავ დაბადების 39 წლისთავს იმქვეყნად, ზეცაში, შვილო. მოდის ჩემთვის ყოფილი სანატრელი, სასიხარულო 4 თებერვალი, ცრემლითა და მწუხარებით შეცვლილი.

შენი ნასვლით დატოვებულ ტკივილს, ვერც 12 წელმა უშველა, შვილო. ძნელია შეიღებე წერა, როცა იგი მოგონებდა არის, ქცეული, უზომო სულის ტკივილია უშენობა, ჩემო კეთილო, ალალო, სიცოცხლეზე და ცოლ-შვილებზე გულდაწყვეტილი, 27 წლისად დარჩენილი შვილო. იმ საბედისწერო დღეს, აღდგომის დღეს, სასწაულზე, ბრწყინვალე შვიდწლის პირველსავე დღეს, უფალმა სამოთხის კარი გაგიღო და შენც შენი ფიქრებით და აუსრულებელი ოცნებებით დაადექი სასუფევლის გზას. მოგიკვდეს დედა, უფლის ნებას ვერავინ შეცვლის. მისი რწმენით ვახერხებ ამ გაუსაძლისი დღეების გა-



დატანას. ზაზა, უშენობა ჩემი სხეულიდან ამოგლეჯილი გულია, რომელიც შენთან ერთად გაჩერდა. გააა შეიძლება, დრომ უმკურნალოს დედის გულს? ასე რად გაგვიმეტა ცხოვრებამ, შვილო. მინდა, კიდევ ერთხელ ძლიერად ჩაგვიკრა გულში, მოგეფერო, ვიგრძნო შენი სითბო და სიყვარული. მინდა, დაგიკოცნო ღამაში თვალები. მიყვარხარ, ტკივილამდე მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლე.

სიცოცხლის ბედი არ გეკონია, შვილო, თორემ სიყვარულის ნიჭი კი მოგცა ღმერთმა. უზომოდ გიყვარდა შენი ოჯახი, მენი საყვარელი ნათია და შენი საფიციარი ლიკა, რომელიც უკვე დიდი გოგოა, 16 წლის არის, შვილო. ხშირად მოვდივართ შენს საფლავზე, ყვავილებს მოგიტანს, სანთელს აგინებებს და რაღაცას გეჭურჩუნებ. იმქვეყნიდან ილოცე და დაეხმარე შენს შვილს, ზაზა.

ჩემო ზაზა, ჩემო შვილო, შენს საფლავზე შენს სურათთან სანთელი და საკმეველი არ ჩამქრალა, ოცნებები და ფსალმუნები არ შემიწყდარა, მაგრამ სიცოცხლე და სიხარული ჩაგვიკრა შენს მშობლებს,

შენი ოჯახი

დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის 2015-2016 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანაკლასელის ბიორბი კვიციანიშვილის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის შობის სახელობის სამლოცველო სახლის წინამძღვარი არქიმანდრიტი ონოფრე და მისი მრევლი იუწყებიან ყოფილი მაგალობის მარია სტრახოვის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ იგორ სტრახოვის ოჯახს დედის გარდაცვალების გამო.

სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები : ნანა ჭიჭინაძე, თამაზ ჯანიკაშვილი, გურამ ნათელაძე, მერაბ რობიაშვილი, ივერ ჭუჭულაშვილი, უშანგი გონაშვილი, მაცყალა ჯორჯოშვილი, ყუყუნა კოჭლაშვილი, თამარიკო პაპაჩაშვილი და ნანა აფციაური ოჯახებით გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ ამავე სამმართველოს ყოფილ უფროსს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს შალვა თეთვაძეს მეუღლის და მის შვილებს -ზურიკო და თინიკო თეთვაძეებს დედის, ლვანდოსილი პედაგოგის, ლილა მანაბაძე-თითუაძის გარდაცვალების გამო.

მიშა, ნანული,ზურიკო, ზაზა, სოსო, რომან თეთვაძეები, ვაჟა ალადაშვილი, ნოდარ და კახა ნიკოლაიშვილები, იზა გონაშვილი, დალი ქუსიკაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ შალვა, ზურიკო და ლევან თეთვაძეებს ლილა მანაბაძე-თითუაძის გარდაცვალების გამო.

ქ. დედოფლისწყაროს ედოშვილის ქუჩის I შესახვევის მცხოვრებლები იუწყებიან მაია ბალაშვილი-ჯალიაშვილის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ დავით, სეიფო, გიორგი და ელენე ჯალიაშვილებს.

კლარა ოზაშვილი და მიხეილ (გუგული) ალადაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ უშანგი წყარუაშვილის და ნანა ჭუჭულაშვილის ძმის ბიორბი წყარუაშვილის გარდაცვალების გამო.

ივერი ჭუჭულაშვილის ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს ბაბულია დათუკიშვილს, მანანა ბალაშვილს, გია და ირაკლი სულხანიშვილებს მაია ბალაშვილის გარდაცვალების გამო.

მთიელი პატრიოტი



- რომ გითხრან, ქრისტიან სმირად ივლი, თეატრსაუ ნახვ და ყველა სურვილი ავისრულოდნა, ოღონდ გუდამყარიდან უნდა აიყარო და ქალაქში ნამოხვიდო, რას იზამ?

- არ ნავალ. აქ უფრო მეტია, ვიდრე ქალაქში.

- რა არის მეტი?

- მთები - მშვენი და ძლიერი... ვუყურებ და ხანდახან ვფიქრობ, რომ მეტ მთა ვარ, ოღონდ პატარა და თუ აქედან ნავალ, დიდი ვერ გავიზრდები. მთები არ ცოვებენ თავის ადგილს, თუ დატოვებენ, ჩამოიქცევიან...

- ვინ უნდა გამოხვიდო დიდობაში?

- ვეოთხები ზაჩოს.

- ჯარისკარი.

- რად ვინდა ჯარისკარად, უნდა იომა?

- მარტო ომისთვის უნდა იყო ჯარისკარი? დავიჯავ ამ მთებს და მთელ

გუდამყარს, მესაზღვრე ვიქნები.

- საზღვარი რა არის?

- ეზოს ღობესავით არის, მაგრამ ღობე შეიძლება მოშალო, საზღვარს კი ვერ მოშლი.

- რატომ?

- საზღვარი შენს სამშობლოს იჯავსო, მამამ თქვა, ღობე კი ეზოს, რომელიც შეიძლება ძმას გაუყოლო...

* * *

ბარო ნიკლაური გუდამყარის სოფელ მაქართის დანყებითი სკოლის მეექვსე კლასში სწავლობს. არა მხოლოდ კლასში, ის სკოლაშიც ერთადერთი მოსწავლეა. ბიჭუნას არც კლასელი ჰყავს, არც - სკოლელი. სამაგიეროდ, ჰყავს ორი მასწავლებელი...

„მაშინ პირველად შევეხე „იპერატორის თასს“ და გავიფიქრე - ერთხელ მაინც ვერ უნდა ალვართომ-მეთქი?“ - ინტერვიუ „ცისფერთვალეა სამურაისთან“

შარშანდღამდე, სუმოს მოყვარულეების და ჟურნალისტების გარდა, ბევრი არავინ იცნობდა, 27 იანვრიდან კი მთელი საქართველო „ტორინოშინი“ - ლევან გორგაძეზე ლაპარაკობს. 30 წლის ქართველმა სუმოსტამ იანვრის „ბაშოზე“ (სუმოს სუპერტურნირი, რომელიც ორ თვეში ერთხელ იმართება) სენსაცია შემოგვთავაზა და „იმპერატორის თასს“ მესამე მთავარი სტატუსით დაუფლა. „ტორინოშინი“ გახდა პირველი ქართველი და მესამე ევროპელი, ვისაც ეს პრესტიჟული თასი მოუგია. „ცისფერთვალეა სამურაი“ (ლევანის ერთ-ერთი მეტსახელია), რომელსაც ნიკოლას ქვიჯსაც ხშირად ამსჯავებენ, მთელი იაპონია „ჯო-ჯიაზე“, ანუ საქართველოზე ალაპარაკა, გთავაზობთ ინტერვიუს ლეონ ბორბაძისთან.

ტორის თასს“ და გავიფიქრე - კარიერაში ერთხელ მაინც ვერ უნდა ალვართომ-მეთქი?! მადლობა უფაღს, რომ ეს ნატურა 2018 წლის პირველ ბაშოზე ავისრულე.

- კლუბ „კასუგანოს“ პირველი უცხოელი სუმოსტი ხარ და ბოლო 46 წლის განმავლობაში - პირველი ჩემპიონი! თანაკლუბელებმა როგორი დახვედრა მოგწყევს?

- 46 წელია, „კასუგანოდან“ არავის მოუგია „იმპერატორის თასი“. ჩვენი კლუბის პრეზიდენტი ძალიან მკაცრი კაცია, მაგრამ მისი ატირებაც კი მოვასხერხე. მეონი, ამით ყველაფერია ნათქვამი!

- ოჯახის წევრები და მეგობრებიც ესწრებინ ხოლმე ასეთ ღირსშესანიშნავ მოვლენას. მაგრამ რას ნარმოვიდგენდი, თუ ჩემპიონი გავხდებოდი? ამიტომაც, ოჯახის წევრების იაპონიაში ჩამოყვანა ვეღარ მოვასწარი... ბუნებრივია, გული დამწყდა, ჩემს გვერდით არც მეუღლე რომ არ იყო და არც შვილები, თუმცა, უკვე 13 წელია იაპონიაში ვარ და აღარ მიჭირს. აღარ მაცხს უცხოობის განცდა, ქვეყანასაც მიყვები და სუმოს ნესტოსაც.

- გამარჯვების შემდეგ, სუმოსტს შეუძლია, რაიმე ფორმით გამოხატოს თავისი ნარმოგებლობა?

- დოპიოზე არათუ დაყვირება, ემოციის გამოხატვაც კი

აკრძალულია. მასხოვს, როცა რამდენიმე თვითანი პაუზის შემდეგ, ლეგენდარული იოკოტუნა „ასამორიუ“ ისევ გახდა ჩემპიონი, სიხარული ხელების ანგვით გამოხატა. ამის გამო დიდი ამბავი ატყდა - სუმოსტს ემოციების გამოხატვის უფლება არ აქვსო. დროშის აფრიალებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!

- თასების გარდა, უამრავი სხვადასხვა პრიზით დაგაჯილდოეს. მათ შორის - ძვირადღირებული ავტომანქანით და საათით, მთელი წლის სამყოფი სანავით და სასმელ-საჭმლით...

- ავტომანქანასთან დაკავშირებული ინფორმაცია არასწორია - არ უჩუქებიათ. ის ავტომობილი, რომელზეც გამარჯვების შემდეგ ვიდექი, სუმოს ფედერაციის არის და მსგავსი ღონისძიებებისთვის გამოიყენება. მთელი წლის სამყოფი ბრინჯით, ლუდით, ხორციტ, სანავით და ა.შ. მართლაც დამაჯილდოეს. მაგრამ მე ამდენი საჭმელ-სასმელი რად მიინდა? კლუბში გამოგზავნიან და მოვიხმართ.

- მთელი ბაშო მუხლის სახვევით იჭიდავე იმედია, მორიგი ოპერაცია აღარ დაგჭირდება.

- შარშან, იანვრის ბაშოზე, ნაოპერაციები ჯვარედინი მყესები ისევ გამიწყდა და მას შემდეგ, განყვეტილი მყესებით ვჭიდობ. საოპერაციოა, მაგრამ ახლა რომ გავიკეთო, რამდენიმე ტურნირის გამოტოვება, დაბალ დივიზიონში დაქვეითება და



ულოცავებ!

სიხინო ლეკაშვილს!
მიხეილ გვაგაძეს!

გულწრფელი სიყვარულით მოგილოცავთ დიდ სიხარულს - თქვენი ქალიშვილის ძმითი ტანაბლადის და ჯეიმის ქოლდვილის ვაჟის დაბადებას. ორი ვაჟისგან სამი გოგონას შემდეგ პატარა ნიკოლას-მანიკლის დაბადება, მართლაც რომ, დიდი სიხარულია. ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, მშობლების და ყველა ახლობლის კარგად ყოფნას და და-ძმების სიმრავლეს ვუსურვებთ მას. თქვენ კი - ბედნიერი პაპა-ბებია იყავით და გაიხარეთ.

ირ. ედოშვილის ქუჩის მცხოვრებთა სახელით ნაირა ბორაშვილი

მადლიერება

რამდენიმე დღის წინ დედოფლისწყაროს სოფელ ზემო მარხაანში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი გაიხსნა. ეს დიდი ზემი იყო, როგორც აღმზრდელებისთვის, ისე ალსაზრდელებისა და მათი მშობლებისათვის. ამ სიხარულის მონიჭებისთვის დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ დედოფლისწყაროს მერს, ნიკოლოზ ჯანაიშვილს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ნუგზარ პაპიაშვილს და სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელს მაია ყოჩიაშვილს. მრავალფეროვანი კვება და საუკეთესოდ რეაბილიტირებული გარემოა, ეს ყველაფერი კი სრულიად უფასოა.

პატივისცემით, ზამო მარხაანის საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა მშობლები

იყიდება!

იყიდება ოროთახიანი ბინა დიდი ლოჯიით, ავტოფარეხით დედოფლისწყაროში (ბენზინგასამართი სადგურის მოპირდაპირე მხარეს) რუსთაველის ქუჩა N4, კორპუსი 3, II-ე სადარბაზო, ბინა 9. ფასი შეთანხმებით. მსურველები დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე 555 23 26 80.

ამინდი

ორშაბათი 05.02 დღე 10°	სამშაბათი 06.02 ღამე 7°	ოთხშაბათი 07.02 დღე 8°	ხუთშაბათი 08.02 ღამე 6°	პარასკევი 09.02 დღე 6°	შაბათი 10.02 ღამე 3°	კვირა 11.02 დღე 4°	კვირა 11.02 ღამე 3°	კვირა 11.02 დღე 7°	კვირა 11.02 ღამე 6°
------------------------------	-------------------------------	------------------------------	-------------------------------	------------------------------	----------------------------	--------------------------	---------------------------	--------------------------	---------------------------

გამომცემელი შპს „შირაჰი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა ბორაშვილი-პაპიაშვილი წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.	სარედაქციო კოლფეა: ლალი მახრინიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათია ზოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჰანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა). გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაჰის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს. „სამშობლოს“ სტამბაში.	რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
--	--	---	---